

ქ-853 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ეკატერინე ქორქოლიანი

ნუმერატიული კომპონენტების შემცველი
ფრაზეოლოგიური ერთეულები
(ფრანგული და ქართული ენების მიხედვით)

10.02.07 ტიპოლოგიური და შედარებითი ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეზუმეტი

თბილისი
2005

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ციური ახვლედიანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.04)

ოფიციალური ოპონენტები: 1. რუსუდან ასათიანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი (10.02.07)

2. ცისანა ბიბილეიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი (10.02.07)


დისერტაციის დაცვა შედგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P.10.07. №7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე 2006 წლის 11 იანვარს 13 საათზე.

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 1, კორპ., 1, 93-ე აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2)

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის 9 დეკემბერს

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი



ნი. ჯორჯაძე რამაზ ქურდაძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ნუმერატიული კომპონენტების შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კვლევას შეპირისპირებით-ტიპოლოგიურ პლანში, მათი ფუნქციურ-სემანტიკური როლის შესწავლას ფრანგულ და ქართულ ენებში.

ფრაზეოლოგიის შეპირისპირებით-ტიპოლოგიური კვლევების მიზანია პასუხი გასცეს უმნიშვნელოვანეს შეკითხვებს: რაში მდგომარეობს არსებითი მსგავსება-განსხვავებები ორი ან მეტი ენის ფრაზეოლოგიურ სისტემებს შორის, როგორ წარმოჩნდებიან ისინი ენის ძირითად ფუნქციურ-სემანტიკურ, აზრობრივ და სტრუქტურულ ასპექტებში და რა შიდაენობრივი თუ ექსტრალინგვისტური ფაქტორებით არიან ისინი განპირობებული. ფრაზეოლოგიის ანალიზი ლექსიკურ-სემანტიკური ვგუფების მიხედვით მივიჩინეთ არამონათესავე ენების (ფრანგულისა და ქართულის) ფრაზეოლოგიური სისტემების შეპირისპირებითი კვლევის ოპტიმალურ საშუალებად, რამდენადაც, აღნიშნული პრინციპი იძლევა ფრაზეოლოგიზმთა თავისებურებების, მათ შორის ფრაზეოლოგიური ერთეულის (შემდგომში ფე) ლექსიკონის შესწავლისა და მისი კომპონენტური შემადგენლობის თავისებურებების გამოვლენის საშუალებას, ხოლო ფრაზეოლოგიის შეპირისპირებითი შესწავლა ლექსიკურ-სემანტიკური ვგუფების მიხედვით ხსნის სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიაში ამა თუ იმ ლექსიკური პლასტის ფუნქციონირების პირობებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ფრაზეოლოგია, რომელმაც 80-იანი წლების ბოლოს საბოლოოდ მოიპოვა ლინგვისტიკის ავტონომიური დარგის სტატუსი, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში კვლევის პერიფერიად გადაიქცა და მიუხედავად ამ დარგში მიღწეული შედეგებისა, კიდევ ბევრი პრობლემა დარჩა გადაუჭრელი. მათ რიცხვს შეადგენს ფრანგული და ქართული ფრაზეოლოგიის შეპირისპირებით-ტიპოლოგიური კვლევა, რომელსაც ეძღვნება წინამდებარე შრომა.

თემის აქტუალურობა გამომდინარეობს ფრაზეოლოგიის შესწავლის თანამედროვე ამოცანებიდან და განისაზღვრება არამონათესავე ენებში ფეების შეპირისპირებითი ანალიზის აუცილებლობით, რომლის მიზანია ამოავსოს ფრანგული და ქართული ფრაზე-

4046